




გენერაციული AI და კონტენტის შექმნა

დავით ჭიჭავაძე

კურსის ხანგრძლივობა: 10 კვირა

კურსის აღწერა:

კურსი წარმოადგენს პრაქტიკულ სასწავლო პროგრამას, რომლის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს საბაზისო ცოდნა და საბუთო უნარები გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ხარისხიანი ფოტო, ვიდეო და ხმოვანი კონტენტის შესაქმნელად.

პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ ინსტრუმენტების ტექნიკურ გამოყენებაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ გარდაიქმნება იდეა კონტროლირებად, ერთიან სტილში შესრულებულ და პროფესიონალურ ვიზუალურ პროდუქტად, რომელიც რეალურად გამოიყენება თანამედროვე ვიზუალურ კომუნიკაციაში.

კურსი ეფუძნება Visual Fragments-ის საბუთო მიდგომას, სადაც AI განიხილება როგორც კრეატიული ინსტრუმენტი, რომელიც აჩქარებს პროცესს და ზრდის ვარიაციებს, თუმცა საჭიროებს მკაფიო მიზანს, გემოვნებასა და კონტროლს.

პროგრამა ასწავლის გენერაციული AI-ის გამოყენების კრეატიულ საფუძვლებსა და ზოგად ინდუსტრიულ საბუთო პრინციპებს. Visual Fragments-ის შიდა საწარმოო სისტემები, პროპრიეტარული პრომპტ-ბიბლიოთეკები და კლიენტებთან მუშაობის კონკრეტული მეთოდოლოგიები კურსის ფარგლებში არ განიხილება და არ გადაეცემა.

ვისთვის არის კურსი: კურსი განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პრაქტიკულად, მიზანმიმართულად და ხარისხზე ორიენტირებული მიდგომით, თანამედროვე ვიზუალური კომუნიკაციის კონტექსტში.

პროგრამა განსაკუთრებით სასარგებლოა, თუ ხართ:

- კონტენტ-კრეატორი: რომელიც ქმნის ვიზუალურ მასალას სოციალური მედიისა და ციფრული პლატფორმებისთვის და სურს პროცესის დაჩქარება ხარისხის შენარჩუნებით.
- მარკეტინგისა და ბრენდინგის სპეციალისტი: რომელიც მუშაობს კამპანიებზე და საჭიროებს იდეის სწრაფ გარდაქმნას პროფესიონალურ, სტილისტურად გამართულ კონტენტად.
- დიზაინერი, კრეატიული მიმართულების დამწყები ან სხვა: რომელიც ავითარებს ვიზუალური თხრობის უნარს, აწყობს პორტფოლიოს და სწავლობს

კურსის განმავლობაში გამოყენებული პროგრამები: Gemini, Kling ai, Midjourney, Suno, ElevenLabs, Flux, Nano banana, Veo 3

მინიმალური მოთხოვნები: კურსში მონაწილეობისთვის სპეციალური პროფესიონალური გამოცდილება საჭირო არ არის. პროგრამა სტრუქტურირებულია ისე, რომ დამწყებ მონაწილეებსაც შეეძლოთ პროცესში მარტივად ჩართვა და ეტაპობრივად პრაქტიკული უნარების განვითარება.

სასწავლო მოდულები აგებულია პროგრესული პრინციპით: სტუდენტები ნაბიჯ-ნაბიჯ ეცნობიან გენერაციული AI-ის ინსტრუმენტებს, სწავლობენ მათი გამოყენების ლოგიკას და თანდათან გადადიან უფრო კომპლექსური ვიზუალური და აუდიო-ვიდეო ამოცანების შესრულებაზე.

- **სასურველია** (მაგრამ არა აუცილებელი): ვიდეომონტაჟის საბაზისო ცოდნა (CapCut, Premiere Pro ან სხვა პროგრამა).
- **ასევე სასურველია:** ინგლისური ტერმინების ზოგადი გაგება, რადგან ინსტრუმენტების უმეტესობა ინგლისურ ინტერფეისზე მუშაობს.

სწავლების ფორმატი: ონლაინ შეხვედრები



შეხვედრა 1 - შესავალი: გენერაციული AI და თანამედროვე კონტენტის საფუძვლები

პირველი მოდულის მიზანია სტუდენტმა გააცნობიეროს, რას წარმოადგენს გენერაციული ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე კრეატიულ ინდუსტრიაში და როგორ გამოიყენება ის პროფესიონალურ სამუშაო პროცესში.

- განვიხილავთ კურსის მიზანს და სამუშაო ფორმატს.
- გენერაციული AI-ის მიერ შექმნილი კონტენტის ძირითად ტიპები: ფოტო, ვიდეო, ხმა.
- სამუშაო პროცესის სტრუქტურა: იდეა → პრომპტი → ვარიაციები → შერჩევა → საბოლოო შედეგი.
- AI-ის გამოყენების პრინციპები: ავტორობა, თანხმობა, შეცდომაში შემყვანი კონტენტის თავიდან აცილება.
- ვიზუალური ერთიანობის შენარჩუნება: 3-5 მარტივი წესით სტილის კონტროლი პროექტის განმავლობაში.

შეხვედრა 2 - Midjourney: ფოტოგენერაციის საფუძვლები და შედეგის მართვა (I)

ლექცია ეძღვნება Midjourney-ის გამოყენებით ვიზუალური გენერაციის საბაზისო პრინციპებს და იმ ინსტრუქციული სტრუქტურის გააზრებას, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან, სუფთა და პროფესიონალურ შედეგს.

ლექციის მთავარი მიზანია სტუდენტმა ისწავლოს, როგორ გადაიქცეს იდეა სწორად ჩამოყალიბებულ პრომპტად და როგორ იმართოს გენერაციის პროცესი ისე, რომ შედეგი იყოს არა შემთხვევითი, არამედ კონტროლირებადი და გამოყენებადი რეალურ კრეატიულ პრაქტიკაში.

- **ვიზუალური პრომპტის არქიტექტურა:** როგორ იგება ეფექტური ინსტრუქცია: სუბიექტი → გარემო → განწყობა → სტილი → დეტალები
- **გენერაციის ვარიაციების მიღება და მართვა:** როგორ ვიღებთ მრავალ ვარიანტს ერთი იდეიდან და როგორ ვარჩევთ საუკეთესო მიმართულებას შემდგომი განვითარებისთვის.
- **კომპოზიციის კონტროლი და ვიზუალური სისუფთავე:** ყურადღება ექცევა კადრის სტრუქტურას, სივრცის ბალანსს, ფოკუსს და არასასურველი ვიზუალური არტეფაქტების მინიმიზაციას.
- **ატმოსფეროსა და ვიზუალური ტონის ფორმირება:** როგორ განისაზღვრება სინათლე, ფერთა პალიტრა და ემოციური განწყობა ისე, რომ ვიზუალი გახდეს ერთიანი და ბრენდულად სწორი.



შეხვედრა 3 - Midjourney: ფოტოსერიის აგება ერთ თემაზე (II)

ლექცია ფოკუსირდება სერიული ვიზუალური აზროვნების განვითარებაზე და იმ მეთოდებზე, რომლებიც საშუალებას იძლევა ერთ თემაზე შეიქმნას თანმიმდევრული, სტილისტურად ერთიანი ფოტოსერია.

ლექციის მიზანია სტუდენტმა ისწავლოს არა მხოლოდ ერთი წარმატებული კადრის გენერაცია, არამედ ვიზუალური სერიის აგება, სადაც თითოეული გამოსახულება მუშაობს საერთო კონცეფციის ფარგლებში და ქმნის ერთიან ნარატივს.

- **ფოტოსერიის არქიტექტურა და როლების განაწილება:** როგორ იგება სერია სტრუქტურულად: მთავარი (hero) კადრი + დამხმარე ვიზუალები, რომლებიც ავითარებენ თემას და აძლიერებენ საერთო იდეას.
- **ვიზუალური ერთიანობის შენარჩუნების პრინციპები:** როგორ კონტროლდება სერიის სტაბილურობა: ფერთა პალიტრა, განათება, ატმოსფერო, სტილის ტონი და კომპოზიციური ლოგიკა.
- **6-8 კადრიანი ფოტოსერიის პრაქტიკული ანჟომბა:** როგორ ვქმნით დასრულებულ სერიას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც: სოციალური მედიის კამპანია, ბრენდული ვიზუალური პაკეტი ან კონცეპტუალური პრეზენტაცია.

შეხვედრა 4 - FLUX: ფოტოგენერაცია და ხარისხის კონტროლი

მეოთხე ლექცია ეძღვნება FLUX-ის გამოყენებას მაღალი ხარისხის ფოტოგენერაციისთვის და იმ პრაქტიკულ მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა ვიზუალებში მაქსიმალურად შემცირდეს ტექნიკური შეცდომები. FLUX განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც საჭიროა უფრო კონტროლირებადი შედეგი, მაღალი რეალიზმი და სტრუქტურულად გამართული გამოსახულება.

- **FLUX-ის საბუშაო მიდგომა და მისი განსხვავება სხვა გენერაციული პლატფორმებისგან:** როგორ მუშაობს FLUX ვიზუალური სიზუსტის, ტექსტურის და დეტალების კონტროლის მიმართულებით.
- **ინსტრუქციების პრინციპი და შედეგის მართვა:** როგორ ვაყალიბებთ პრომპტს ისე, რომ შედეგი იყოს სტაბილური, სუფთა და პროფესიონალურად გამოყენებადი.
- **ხარისხის კონტროლი და ტექნიკური პრობლემების მინიმიზაცია:** როგორ ვამცირებთ ყველაზე გავრცელებულ შეცდომებს, მათ შორის: არტეფაქტებს, დეფორმირებულ ფორმებს, არასწორ დეტალებს და ვიზუალურ “დაშლილობას”.



შეხვედრა 5 - Nano Banana Pro: ვიზუალური თანმიმდევრულობა და სტილის ერთიანობა

ლექცია ეძღვნება AI-გენერირებულ ვიზუალებებში სტილისტური ერთიანობის შენარჩუნების საბაზისო პრინციპებს და შედეგის ხარისხის პირველადი შეფასების მეთოდებს. Nano Banana Pro განიხილება როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს ვიზუალური სერიის ფარგლებში შეინარჩუნონ თანმიმდევრული განწყობა და თავიდან აირიდონ შემთხვევითი, არასტაბილური გენერაციები.

- **სტილის ერთიანობის ძირითადი წესები:** ფერი, განათება, განწყობა და კომპოზიციის საერთო მიმართულება როგორც ვიზუალური თანმიმდევრულობის საფუძველი.
- **ვარიაციების შედარება და შერჩევა:** როგორ მივიღოთ რამდენიმე შედეგი ერთ თემაზე და როგორ ავარჩიოთ ყველაზე გამოყენებადი ვარიანტი პრაქტიკული მიზნებისთვის.
- **ხარისხის მინიმალური შემოწმება:** არტეფაქტების, ზედმეტი დეტალების, დეფორმაციების და ვიზუალური “დაშლის” ამოცნობა და თავიდან აცილება.

შეხვედრა 6 - Kling.ai: AI ვიდეოგენერაციის საფუძვლები და მოძრაობის კონტროლი

ლექცია წარმოადგენს შესავალს AI ვიდეოგენერაციაში და ფოკუსირდება იმ საბაზისო პრინციპებზე, რომლებიც აუცილებელია სტაბილური და ვიზუალურად სუფთა ვიდეოკადრების მისაღებად. ლექციის მიზანია სტუდენტმა გაიგოს, რა განსხვავებაა ფოტო-გენერაციასა და ვიდეოგენერაციას შორის და როგორ უნდა მართოს მოძრაობა ისე, რომ შედეგი იყოს ბუნებრივი, თანმიმდევრული და გამოყენებადი.

- **ვიდეოკადრების გენერაციის საფუძვლები ტექსტით ან სურათით:** როგორ მუშაობს AI ვიდეო პლატფორმა, რა ქმნის კადრის სტაბილურობას და რა განსხვავებაა სტატიკურ გამოსახულებასთან შედარებით.
- **მოძრაობის მინიმალური კონტროლი:** რატომ მუშაობს კონტროლირებადი მოძრაობა უკეთ, ვიდრე გადატვირთული მოქმედება, განსაკუთრებით მოკლე ვიდეოსეგმენტებში.
- **ვიზუალური თანმიმდევრულობის ძირითადი გამოწვევები:** როგორ ავირიდოთ დეფორმაციები, “გაქრობები”, არასასურველი არტეფაქტები და სტილის დაშლა ვიდეოგენერაციის პროცესში.
- **AI ვიდეოს გამოყენების პრაქტიკული ფარგლები:** სად არის AI ვიდეო ეფექტური კონტენტის შესაქმნელად და სად იწყება ტექნიკური შეზღუდვები, რომლებიც მოითხოვს სხვა ტიპის წარმოებას.



შეხვედრა 7 - LumaLabs: ვიდეოგენერაცია და კამერის შეგრძნების საფუძვლები

ლექცია ეძღვნება LumaLabs-ის გამოყენებით ვიდეოგენერაციას და იმ პრინციპების გააზრებას, რომლებიც ქმნის “კამერის შეგრძნებას” AI ვიდეოში.

ლექციის მიზანია სტუდენტმა ისწავლოს, როგორ მიიღებს ბუნებრივ, ფილმის მსგავს ვიზუალურ ეფექტს ტექსტური აღწერის ან სურათზე დაფუძნებული გენერაციის გზით. LumaLabs განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ ის საშუალებას იძლევა ვიდეოში გამოაჩინოს სივრცის აღქმა, კამერის მოძრაობის ილუზია და რეალისტური დინება.

- **ვიდეოგენერაცია სხვადასხვა input-ის მიხედვით:** როგორ იქმნება ვიდეო ტექსტური აღწერით ან სურათის საფუძველზე და რა გავლენას ახდენს საწყისი მასალა შედეგის სტაბილურობაზე.
- **კამერის მოძრაობის საბაზისო პრინციპები:** როგორ მუშაობს ნაზი მოძრაობა (დრიფტი, მსუბუქი პანორამა) და რატომ არის იგი უფრო ეფექტური მოკლე ვიდეოფორმატში.
- **სტაბილური შედეგების შერჩევა და შეფასება:** როგორ ვაფასებთ ვიდეოს ხარისხს პრაქტიკული თვალსაზრისით: მოძრაობის თანმიმდევრულობა, კადრის სისუფთავე და არტეფაქტების მინიმიზაცია.

შეხვედრა 8 - Veo 3: კინემატიკური სცენის ფორმირება ტექსტური აღწერით

მერვე ლექცია ეძღვნება Veo 3-ის გამოყენებით კინემატიკური სცენების შექმნას და რეჟისორული ტექსტური აზროვნების ჩამოყალიბებას.

ლექციის მიზანია სტუდენტმა ისწავლოს, როგორ გადაიტანოს ტექსტური აღწერა სრულფასოვან სცენურ ინსტრუქციად, სადაც ერთიანად არის გაწერილი კამერა, განათება, ატმოსფერო და მოქმედება.

Veo 3 წარმოადგენს ვიდეოგენერაციის იმ მიმართულებას, სადაც ხარისხიანი შედეგი პირდაპირ დამოკიდებულია აღწერის სიზუსტეზე და რეჟისორულ ხედვაზე.

- **სცენის აღწერის ძირითადი პრინციპი:** სცენის აღწერის საბაზისო სტრუქტურა: კამერა → შუქი → ატმოსფერო → მოქმედება.
- **სცენის სტაბილურობის შენარჩუნება ვიდეოგენერაციაში:** როგორ ვაკონტროლებთ ერთიანობას ისე, რომ ვიდეო არ დაიშალოს ვიზუალურ ფრაგმენტებად.
- **კინემატიკური ტექსტური ინსტრუქციის სტრუქტურა:** როგორ ვწერთ პრომპტს პროფესიონალური სცენარის მსგავსად:



შეხვედრა 9 - Suno + ElevenLabs: აუდიოს საბაზისო გამოყენება ვიდეო კონტენტში

ლექცია ეძღვნება აუდიო ელემენტის მნიშვნელობას მოკლე ვიდეოკონტენტის გაძლიერებაში და იმ საბაზისო მიდგომებს, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება მუსიკისა და ხმოვანი ტექსტის სწორად გამოყენებაში.

ლექციის მიზანია მონაწილემ გაიგოს, როგორ ქმნის ხმა უფრო დასრულებულ ემოციურ აღქმას ვიზუალურ მასალაში.

- **მუსიკის გენერაციის საფუძვლები (Suno):** როგორ შეირჩევა ტემპი, განწყობა და ენერგია ვიდეოს ტონის შესაბამისად.
- **ხმოვანი ტექსტის დამატება (ElevenLabs):** ტონის, პაუზებისა და მკაფიო დიქციის საბაზისო კონტროლი მოკლე voiceover-ისთვის.
- **აუდიოს ინტეგრაციის მარტივი პრინციპები:** როგორ ეხმარება ხმა ვიზუალურ ეფექტს და როგორ ავირიდოთ გადატვირთული აუდიო.

შეხვედრა 10 - ფინალური პრეზენტაცია და ჩაბარება

ლექცია წარმოადგენს კურსის დასკვნით ეტაპს და ეძღვნება საბოლოო ნამუშევრის პრეზენტაციას, ჩაბარების სტანდარტებსა და პროფესიონალურ უკუკავშირს.

ლექციის მიზანია სტუდენტმა წარმოადგინოს დასრულებული პროექტი როგორც სრულფასოვანი კრეატიული პაკეტი და ისწავლოს, როგორ ხდება AI-გენერირებული კონტენტის ორგანიზება და მიწოდება რეალურ ინდუსტრიულ პრაქტიკაში.

- **ფინალური პროექტის პრეზენტაცია:** სტუდენტები წარადგენენ საბოლოო ნამუშევარს, რომელიც მოიცავს: ფოტოსერიას (6–8 კადრი) და მოკლე ვიდეოს (15 წამი), ერთიანი კონცეფციის ფარგლებში.
- **ჩაბარების პროფესიონალური სტანდარტი:** როგორ ვამზადებთ პროექტს მიწოდებისთვის: ფაილების სწორად ორგანიზება, დასახელება, ფორმატები და პლატფორმისთვის შესაბამისი ექსპორტი.
- **მოკლე შეფასება და უკუკავშირი:** განხილვა Visual Fragments-ის არტ დირექტორული ჩარჩოთი: რა მუშაობს, რა შეიძლება გაუმჯობესდეს და როგორ ვითარდება სტუდენტის კრეატიული ხედვა შემდეგ ეტაპზე.



